დეცენტრალიზაციის სტრატეგიის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2022

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მოკლე შეჯამება

დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია

- ⇒ *სტრატეგიული მიზანი 1 - თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში*
- ⇒ *სტრატეგიული მიზანი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსით*
- ⇒ *სტრატეგიული მიზანი 3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება*

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა

2022 - 2023 წლების სამოქმედო გეგმით 2022 წლისთვის გათვალისწინებული ორი აქტივობიდან სრულად იქნა განხორციელებული ორივე აქტივობა და ცხრა ინდიკატორიდან სრულად იქნა მიღწეული ცხრავე ინდიკატორი.

2022 - 2023 წლების სამოქმედო გეგმით 2022 - 2023 წლებისთვის გათვალისწინებული 35 ინდიკატორიდან სრულად იქნა მიღწეული 24 ინდიკატორი, მეტწილად მიღწეულია 5 ინდიკატორი, ხოლო 6 ინდიკატორი ნაწილობრივ მიღწეულია.

მნიშვნელოვანი მიღწევები 2022

- დაინერგა ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა ყველა მუნიციპალიტეტში
- მუნიციპალიტეტების განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად დამტკიცებულია განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო
- სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა 3000-ზე მეტი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე
- მუნიციპალიტეტებს საკუთრებაში გადაეცათ 1200-ზე მეტი ობიექტი
- შეიქმნა მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი
- შემუშავდა მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები
- შემუშავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პროფესიული განვითარების კონცეფცია და განახლდა პროფესიული განვითარების საჭიროების ანალიზისა და პროფესიული განვითარების გეგმის შედგენის მეთოდოლოგია

სამუშაო გეგმის აქტივობათა სტატუსი 2022 წლის ბოლოსთვის



სამუშაო გეგმის ინდიკატორთა სტატუსი 2022 წლის ბოლოსთვის



2022 წლის აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებები

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისია

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- მუნიციპალიტეტები
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- საჯარო სამსახურის ბიურო
- მთავრობის ადმინისტრაცია
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების მხარდამჭერი განვითარების პარტნიორები

UNDP

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

With funding from
Austrian Development Cooperation

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

სარჩევი

1	*შესავალი*	*.....4*
2	*დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესის ზოგადი აღწერა*	*.....5*
3	*სტრატეგიული მიზანი 1 - ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში*	*.....7*
4	*სტრატეგიული მიზანი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით*	*.....12*
5	*სტრატეგიული მიზანი 3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება*	*.....14*
6	*გამოწვევები და რისკები*	*.....27*
7	*მიღებული გამოცდილება*	*.....29*
8	*დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება*	*.....30*
9	*ინფორმაცია 2023 წელს დაგეგმილ საქმიანობაზე*	*.....30*

წარმოდგენილი ანგარიში შემუშავებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, გაეროს განვითარების პროექტის ,,დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში" მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

1. შესავალი

2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ N678 დადგენილებით დაამტკიცა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. ხოლო 2022 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობის N324 დადგენილებით დამტკიცდა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზანია, ადგილობრივი ხელისუფლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოსახლეობის აქტიური თანამონაწილეობით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონის ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტიან და ოპერატიულ გადაწყვეტას, მუნიციპალიტეტის პოტენციალის სრულად გამოყენებას, მდგრად ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებასა და ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების რეალიზებას და ადგილობრივი თვითმმართველობის თანმიმდევრულ განვითარებას. მისი მიზანია: აქციოს დეცენტრალიზაცია თანმიმდევრულ, მდგრად, უწყვეტ და მიზანმიმართულ პროცესად, რომლის შედეგადაც გაიზრდება თვითმმართველი ერთეულის როლი და მნიშვნელობა საჯარო საკითხების გადაწყვეტაში; ხელი შეუწყოს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობას, მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალეობას, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ანგარიშვალდებულებას და კარგი მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას საქართველოში.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების შედეგად, 2025 წლისთვის საქართველოს მუნიციპალიტეტებს უნდა ჰქონდეთ: ა) გაზრდილი უფლებამოსილებები, ეფექტიანი აღსრულების მექანიზმებით; ბ) გაზრდილი შემოსულობები; გ) გაზრდილი როლი ადგილობრივი ეკონომიკის წახალისებაში და დ) დამკვიდრებული კარგი მმართველობის პრინციპები ადგილობრივ თვითმმართველობაში. ასევე, უნდა მოქმედებდეს მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის, აგრეთვე განვითარების დაგეგმვის და მონიტორინგის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს შედეგზე ორიენტირებული მმართველობის დამკვიდრებას საქართველოში.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, საერთაშორისო პარტნიორების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებების საქმიანობას კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისია. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშებს, შესაბამისი უწყებების ანგარიშების

საფუძველზე, ამზადებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ზემოაღნიშნული ვალდებულების ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2022 წლის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად.

წარმოდგენილი ანგარიში ეყრდნობა სტრატეგიის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. თითოეული აქტივობის შემთხვევაში შეფასებულია მისი ინდიკატორის შესრულების სტატუსი. ასევე, აქტივობის სტატუსის აღწერას თან ერთვის ინფორმაცია მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესის ზოგადი აღწერა

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და მისი პირველი ეტაპი დასრულდა სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებით. 2022 წელს საქართველოს მთავრობის N324 დადგენილებით დამტკიცდა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემდეგი ეტაპის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა. ეს სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პირველი ეტაპის განხორციელებით მიღებულ გამოცდილებებსა და შედეგებს, განსაზღვრავს 2022-2023 წლებში სტრატეგიით დადგენილ შესასრულებელ ამოცანებს და კონკრეტულ აქტივობებს. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები და პარტნიორი ორგანიზაციები. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები არიან: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საჯარო სამსახურის ბიურო და საქართველოს მუნიციპალიტეტები, რომელთაც პარტნიორობას უწევენ შემდეგი ორგანიზაციები: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო.

სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ განვითარების საერთაშორისო პარტნიორებს, კერძოდ: გაეროს განვითარების პროგრამას, ევროკავშირს, მსოფლიო ბანკს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს, ავსტრიის განვითარების სააგენტოს და დანიის მთავრობას.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები დეტალიზებულია კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით, რომელთა შეფასების შედეგად დგინდება თუ რამდენად შესრულდა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები.

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 3 სტრატეგიულ მიზანს, 8 ამოცანას, 25 აქტივობასა და 44 შესრულების ინდიკატორს. მათგან 2 აქტივობისა და 9 ინდიკატორის შესრულების ვადაა 2022 წელი, 6 აქტივობისა და 9 ინდიკატორის შესრულების ვადად დადგენილია 2023 წელი, ხოლო დანარჩენი აქტივობებისა და ინდიკატორების შესრულების ვადაა 2022-2023 წლები.

სტრატეგიული მიზნების მიხედვით, 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით დასახულია:

სტრატეგიული მიზანი 1 – 2 ამოცანის და 4 აქტივობის განხორციელება და 8 ინდიკატორის მიღწევა.

სტრატეგიული მიზანი 2 – 2 ამოცანის და 7 აქტივობის განხორციელება და 8 ინდიკატორის მიღწევა.

სტრატეგიული მიზანი 3 – 4 ამოცანის და 14 აქტივობის განხორციელება და 28 ინდიკატორის მიღწევა.

დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის განხორციელების პროცესის მონიტორინგის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად განსაზღვრულია აქტივობათა და ინდიკატორთა შესრულების შემდეგი კრიტერიუმები:

აქტივობებთან მიმართებაში - ა) არ დაწყებულა (შესრულება 0%); ბ) მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა (1%-50%); გ) მიმდინარე - მეტწილად შესრულდა (51%-99%); დ) განხორციელდა (100%); ე) განხორციელდა დაგვიანებით (100%); ვ) გაუქმებულია (0%-99%); ზ) შეჩერებულია (0%-99%).

ინდიკატორებთან მიმართებაში - ა) მიღწეულია (დაგეგმილი სამიზნე მონაცემების 100 % სახეზეა), ბ) მეტწილად მიღწეულია (დაგეგმილი სამიზნე მონაცემების 51% -99% სახეზეა), გ) ნაწილობრივ მიღწეულია (დაგეგმილი სამიზნე მონაცემების 1%-50% სახეზეა) და დ) ვერ იქნა მიღწეული (არცერთი დაგეგმილი სამიზნე მონაცემია წარმოდგენილი 0%)

2022 წლის ბოლოსთვის განხორციელებულია 11 აქტივობა და მიღწეულია 24 ინდიკატორი, 4 აქტივობა მეტწილად შესრულდა და 4 ინდიკატორი არის მეტწილად მიღწეული, ხოლო 4 აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა და 5 ინდიკატორი არის ნაწილობრივ მიღწეული. 2 ინდიკატორი, რომელიც არის კონკრეტული აქტივობის ქმედების შესრულებაზე მიბმული და განხორციელების ვადა არის 2022-2023 წლები, 2022 წლის ბოლოსთვის ვერ იქნა მიღწეული.

2022 წლის საანგარიშო პერიოდში:

სტრატეგიული მიზანი 1-ის ფარგლებში 2022-2023 წლებში დაიგეგმა 4 აქტივობა და 8 ინდიკატორის მიღწევა. 2022 წლის ბოლოსთვის განხორციელდა 3 აქტივობა და მიღწეულია 5 ინდიკატორი, ხოლო 1 აქტივობა და 3 ინდიკატორი არის მიმდინარე.

სტრატეგიული მიზანი 2-ის ფარგლებში 2022-2023 წლებში დაგეგმილია 7 აქტივობის განხორციელება და 8 ინდიკატორის მიღწევა.

აქედან 1 აქტივობის და 1 ინდიკატორის მიღწევის ვადაა 2022 წელი, რომლებიც სრულად იქნა შესრულებული და მიღწეული.

2 აქტივობისა და 3 ინდიკატორის მიღწევის ვადაა 2022-2023 წლები, რომლებიც 2022 წლისთვის მეტწილად შესრულებულია.

4 აქტივობისა და 4 ინდიკატორის მიღწევის ვადად დადგენილია 2023 წელი.

სტრატეგიული მიზანი 3-ის ფარგლებში 2022-2023 წელს დაგეგმილია 14 აქტივობის განხორციელება და 28 ინდიკატორის მიღწევა.

აქედან 1 აქტივობის 8 ინდიკატორის მიღწევის ვადაა 2022 წელი. ეს აქტივობა იქნა სრულად განხორციელებული და ყველა 8 ინდიკატორი იქნა მიღწეული.

12 აქტივობის და 15 ინდიკატორის მიღწევის ვადაა 2022-2023 წლები. 2022 წლის ბოლოსთვის სრულად განხორციელდა 7 აქტივობა და მიღწეულია 18 ინდიკატორი. 3 აქტივობა მეტწილად შესრულდა და 2 ინდიკატორი მეტწილად მიღწეულია, 2 აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა და 3 ინდიკატორი ნაწილობრივ მიღწეულია. 2 აქტივობის და 5 ინდიკატორის მიღწევის ვადად დადგენილია 2023 წელი.

ამდენად, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 2022 და 2022-2023 (გარდა 2023 წელს გასაზღვრული აქტივობებისა) წლებში განსაზღვრული 19 აქტივობიდან 11 განხორციელდა, 4 აქტივობა მეტწილად შესრულებულია, ხოლო 4 აქტივობა მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულებულია. 35 ინდიკატორიდან სრულად მიღწეულია 24 ინდიკატორი, 4 ინდიკატორს აქვს მეტწილად მიღწეულის სტატუსი, ხოლო 7 ინდიკატორი არის მიმდინარე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით 2022 წელს დაგეგმილი ყველა აქტივობა განხორციელდა და ყველა ინდიკატორი მიღწეულია, ხოლო 2022-2023 წლებში დაგეგმილ აქტივობების და ინდიკატორთა დიდი ნაწილი მიღწეულია.

3. სტრატეგიული მიზანი 1 - ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში.

წარმოდგენილი სტრატეგიული მიზანი გულისხმობს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევა მოიცავს ისეთი სამართლებრივი ბაზის შექმნას რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს შესაძლებლობით, რომ სრულად და ეფექტიანად აღასრულოს საკუთარი უფლებამოსილებანი და დამატებით მიიღოს ის კომპეტენციები, რაც გაზრდის ადგილობრივი თვითმმართველობის როლს საჯარო საქმეების გადაწყვეტაში.

ეს მიზანი მოიცავს ორ ამოცანას:

1) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფა

2) *სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდა.*

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით ამ სტრატეგიული მიზნის ქვეშ დაგეგმილია 2022-2023 წლებში 4 აქტივობის განხორციელება და 8 ინდიკატორის მიღწევა. 2022 წელს, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის სახეზეა შემდეგი მდგომარეობა:

აქტივობა 1.1.1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სისრულისა და ექსკლუზიურობის უზრუნველყოფა და უფლებამოსილებების ხელისშემშლელ ფაქტორთა აღმოფხვრა (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით ამ აქტივობის განხორციელების ინდიკატორად განისაზღვრა უფლებამოსილებების ხელისშემშლელ ფაქტორთა გამოვლენის მიზნით ჩატარებული კვლევისა და საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რევიზიიდან გამომდინარე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მომზადება და ინიცირება.

თვითმმართველი ერთეულის კანონით დადგენილ არსებულ უფლებამოსილებათა სრულყოფილად განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენის მიზნით, წინა სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე მომზადებული და ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში კანონპროექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ის მუხლები რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ერთსა და იმავე დარღვევებზე სანქციებს და დაჯარიმების წესს განსხვავებულად განსაზღვრავდნენ, ან მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის არეგულირებდნენ, გავრცელდება ასევე სხვა მუნიციპალიტეტებზე და დამკვიდრდება ერთიანი მიდგომა. განსხვავებული იქნება მხოლოდ სანქციის ნაწილი (გარე ვაჭრობა, მწვანე ნარგავები, სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებისას თვითნებური გადათხრა/დაზიანება).

მომზადებული და საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს დელეგირებული უფლებამოსილების გაანგარიშების წესის მიღების საფუძველს საქართველოს მთავრობისთვის.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
უფლებამოსილებების ხელისშემშლელ ფაქტორთა გამოვლენის მიზნით ჩატარებული კვლევისა და საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რევიზიიდან გამომდინარე მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 1.1.2. თვითმმართველი ერთეულის კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერა (განხორციელების ვადა 2022-2023 წლები).

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით ამ აქტივობის განხორციელების ინდიკატორებია:

1) უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით სახელმძღვანელოების, ინსტრუქციებისა და სხვა მეთოდური მასალების (სულ მცირე 2 უფლებამოსილებასთან მიმართებაში, მათ შორის ერთი დაკავშირებული ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასთან) მომზადება;
2) კვლევის ჩატარება მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული უფლებამოსილებების განხორციელების ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან მიმართებაში.

პირველი ინდიკატორის მისაღწევად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დახმარებით, „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამის ფარგლებში მომზადდა მუნიციპალიტეტებში ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის დამხმარე პროცედურული სახელმძღვანელო და მუნიციპალიტეტებში უკუკავშირის მართვის სახელმძღვანელო.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით მომზადდა მუნიციპალური სერვისების ელექტრონული პორტალის სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისათვის. სახელმძღვანელოს მიზანია მერის წარმომადგენლებმა შეძლონ მუნიციპალური სერვისების მოქალაქეთა პორტალით სარგებლობა და ამავე დროს დაეხმარონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით სარგებლობაში.

მეორე ინდიკატორის მისაღწევად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტების - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში და დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე - დახმარებით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციასთან თანამშრომლობით, მომზადდა ანალიზი სოციალური უფლებების დაცვის სფეროში 2018 - 2020 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. კვლევა მიმოიხილავს სამ კანონს - „სოციალური მუშაობის შესახებ“, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. დოკუმენტში განხილულია გამოწვევები, რაც სოციალური უფლებების და ბავშვთა უფლებების სფეროში მუნიციპალიტეტებზე დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულებას უკავშირდება.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) დაფინანსებით, ახორციელებს „ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ს, კახეთისა და სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონები“. პროგრამის ფარგლებში, მომზადებულ იქნა ნარჩენების მართვის მოსაკრებლის დათვლის მოდელი.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით მომზადებულია სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები და სხვა მეთოდური მასალები (სულ მცირე 2 უფლებამოსილებასთან მიმართებაში, მათ შორის ერთი დაკავშირებული ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასთან)	მიღწეულია (100%)

ჩატარებულია კვლევა მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული უფლებამოსილებების განხორციელების ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან მიმართებაში	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 1.2.1 სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდა (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით ამ აქტივობის განხორციელების ინდიკატორებია:

1. ჩატარებული კვლევების საფუძველზე განისაზღვროს მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი დამატებითი უფლებამოსილებები (არანაკლებ სამი უფლებამოსილება) ადმინისტრაციულ, ქონების მართვის, განათლების, კულტურის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის სფეროებში;
2. ჩატარდეს კონსულტაციები მუნიციპალიტეტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი უფლებამოსილებების გადაცემის ვადებისა და ფორმების შესახებ;
3. მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი უფლებამოსილებების გადასაცემად მომზადებული და ინიცირებული იქნეს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.

პირველი ინდიკატორის მისაღწევად მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი უფლებამოსილებების გადაცემის მიზნით მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან. მათთან კონსულტაციების დამთავრების შემდეგ, დაიწყება კონსულტაციები მუნიციპალიტეტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი უფლებამოსილებების გადაცემის ვადებისა და ფორმების შესახებ, რომლის საფუძველზეც 2023 წელს მომზადებული და ინიცირებული იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ანდა კანონქვემდებარე აქტები.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. ჩატარებული კვლევების საფუძველზე განისაზღვროს მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი დამატებითი უფლებამოსილებები (არანაკლებ სამი უფლებამოსილება) ადმინისტრაციულ, ქონების მართვის, განათლების, კულტურის, ადგილობრივი	ნაწილობრივ მიღწეულია (1%-50%)

ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის სფეროებში	
2. ჩატარდეს კონსულტაციები მუნიციპალიტეტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი უფლებამოსილებების გადაცემის ვადებისა და ფორმების შესახებ	ვერ იქნა მიღწეული (0%)
შესაბამისი საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტების მომზადება და ინიცირება	ვერ იქნა მიღწეული (0%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - ნაწილობრივ შესრულდა.

აქტივობა 1.2.2. მუნიციპალიტეტების დამატებითი უფლებამოსილების მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფა (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით ამ აქტივობის განხორციელების ინდიკატორებია:

1. მომზადებულია დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების გაანგარიშების წესის პროექტი;
2. განსაზღვრულია და სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი ტრანსფერით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად შესაბამისი რესურსების გადაცემა (არანაკლებ ერთი უფლებამოსილებისა).

პირველი ინდიკატორის მისაღწევად მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების გაანგარიშების წესის შესახებ. წარდგენილი კანონპროექტით წესის ამოქმედების ვადად დადგენილია 2023 წლის 1 სექტემბერი.

მეორე ინდიკატორის მისაღწევად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით შემუშავებულ იქნა საზოგადოებრივი ჯანმთელობის დაცვის მომსახურებისასთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტანსფერის განსაზღვრის ფორმულა. აღნიშნული ფორმულის მიხედვით გაიანგარიშება კონკრეტული მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებისათვის საჭირო დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯი და ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები. აღნიშნულიდან გამომდინარე 2023 წლის მიზნობრივი ტრანსფერი 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 7.1 მლნ ლარით და შედგინა 20.5 მლნ ლარი.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. მომზადებულია დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების გაანგარიშების წესის პროექტი	მიღწეულია (100%)
2. განსაზღვრულია და სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი ტრანსფერით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად შესაბამისი რესურსების გადაცემა	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

4. სტრატეგიული მიზანი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით

მეორე სტრატეგიული მიზანი მიმართულია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობის უზრუნველყოფისკენ ორგანული კანონით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებთან.

ეს სტრატეგიული მიზანი მოიცავს ორ ამოცანას:

1) ***ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსულობების თანმიმდევრული ზრდის ხელშეწყობა;***

2) ***სახელმწიფო რესურსების განაწილების მექანიზმების გაუმჯობესება.***

ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევის შემდეგ, დეცენტრალიზაციის სტრატეგიით გატარებული პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება მუნიციპალიტეტების შემოსულობები, მათი როლი ადგილობრივი ეკონომიკის წახალისებაში და ადგილობრივი ბიუჯეტები. მუნიციპალური ფინანსების მართვაში გაიზრდება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

ამ მიზნის ქვეშ დაიგეგმა 7 აქტივობის განხორციელება. მათგან 1 აქტივობის განხორციელება უნდა დასრულდეს 2022 წელს. 4 აქტივობის ვადად დადგენილია 2023 წელი, ხოლო 3 აქტივობის შესრულების ვადაა 2022-2023 წლები.

აქტივობა 2.1.3. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ქონების განკარგვიდან მიღებულ შემოსავლებში მუნიციპალიტეტის წილის გაზრდის მიზნით საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მომზადება (განხორციელების ვადა - 2022 წელი).

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით ამ აქტივობის განხორციელების ინდიკატორია შესაბამის საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტების პროექტების მომზადება და ინიცირება.

ინდიკატორის მისაღწევად მომზადებული და ინიცირებულია კანონპროექტი საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი აქტივები) განკარგვიდან (გაყიდვის, აგრეთვე ქონების იჯარით გაცემის ან მართვაში გადაცემის) მიღებული შემოსავლების ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასაცემი პროცენტული წილის გაზრდას. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ეტაპობრივად გაიზრდება მუნიციპალიტეტის შემოსულობები მის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრებაში ქონების განკარგვიდან.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. მომზადებულია და ინიცირებულია საკანონმდებლო აქტის პროექტი	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 2.1.5. სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადაცემის და რეგისტრაციის პროცედურების გამარტივება (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით ამ აქტივობის განხორციელების ინდიკატორებია:

1. მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები;

2. არანაკლებ 5 მუნიციპალიტეტს აქვს გაზრდილი შესაძლებლობა მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციისთვის.

პირველი ინდიკატორის მისაღწევად ქონების მართვის სააგენტოსთან თანამშრომლობით 2021 წელს მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების პროექტი. აღნიშნული ცვლილების ამოქმედება დაკავშირებულია, მათ შორის შესაბამისი მთავრობის დადგენილების მიღებასთან, რომლის პროექტიც შემუშავებულ იქნა 2022 წელს. კანონპროექტის ინიცირება განხორციელდება 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

მეორე ინდიკატორის მისაღწევად მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციისთვის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ მომზადდა მუნიციპალური აქტივების მართვის და აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც დაეხმარება მუნიციპალიტეტებს მუნიციპალური ქონების და სხვა აქტივების მართვისა და აღრიცხვა-ინვენტარიზაციის პროცესის მოსაწესრიგებლად.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. მომზადებულია და ინიცირებულია საკანონმდებლო აქტის პროექტი	მეტწილად მიღწეულია (51-99%)
2. არანაკლებ 5 მუნიციპალიტეტს აქვს გაზრდილი შესაძლებლობა მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციისთვის	მეტწილად მიღწეულია (51-99%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - მეტწილად შესრულდა.

აქტივობა: 2.1.6 ქონების გადაცემა (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით ამ აქტივობის განხორციელების შესრულების ინდიკატორია მუნიციპალიტეტებისთვის არანაკლებ 2500 ობიექტის გადაცემა

ინდიკატორის მისაღწევად გრძელდება ქონების გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი პროცედურების გავლა და შესაბამისი ქონების მომზადება შემდგომი გადაცემის მიზნით. 2022 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ 1207 ერთეული უძრავი ქონება გადასცა მუნიციპალიტეტებს.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. მუნიციპალიტეტებისთვის არანაკლებ 2500 ობიექტის გადაცემა	ნაწილობრივ მიღწეულია (1-50%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - ნაწილობრივ შესრულდა.

5. სტრატეგიული მიზანი 3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მესამე მიზანი ორიენტირებულია უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვითარება და შედეგზე ორიენტირებული მართვის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დანერგვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქმედითი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.

ეს სტრატეგიული მიზანი მოიცავს ოთხ ამოცანას:

1) ადგილობრივ დონეზე მართვისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა;

2) გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის მიღწევა;

3) ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა; და

4) ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის და კოორდინაციის სისტემის შექმნა.

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა მესამე სტრატეგიული მიზნის ქვეშ 14 აქტივობას და 28 ინდიკატორის მიღწევას მოიცავს. აქედან 8 ინდიკატორის შესრულება დაგეგმილია 2022 წელს, 5 ინდიკატორის მიღწევის ვადად განსაზღვრულია 2023 წელი, ხოლო 15 ინდიკატორის მისაღწევად დადგენილია 2022-2023 წლები.

2022 წლის ბოლოსთვის მდგომარეობა შემდეგია:

აქტივობა 3.1.1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მართვის სისტემის და ადმინისტრაციული სტრუქტურის სრულყოფა (განხორციელების ვადა - 2022 წელი).

ამ აქტივობის ინდიკატორად 2022 წელს განსაზღვრულია 63 მუნიციპალიტეტში ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა.

ინდიკატორის მისაღწევად 63 მუნიციპალიტეტში დაინერგა ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს: ელექტრონული სერვისების ონლაინ პორტალს მოქალაქეთათვის (ms.gov.ge), საქმისწარმოების ელექტრონული სისტემასა (mm.gov.ge) და ინტერაქტიულ რუკას გეოსივრცითი მონაცემების მართვისათვის (maps.gov.ge). ონლაინ პორტალი აერთიანებს შემდეგ მოდულებს:

1. HR - ადამიანური რესურსების მართვა
2. ელექტრონული კანცელარია
3. work-flow -ს მოდული (ელექტრონული დოკუმენტბრუნვა)
4. ონლაინ განცხადებები
5. სივრცითი დაგეგმარება და ინტერაქტიული რუკა
6. საკრებულოს საქმისწარმოება
7. ინფრასტრუქტურული ობიექტების მართვა
8. მოქალაქის დახმარება
9. იდეა მერს
10. უფასო სასადილოების ბენეფიციართა მართვა
11. პარკირების მართვა
12. ტაქსების აღრიცხვიანობა და მონიტორინგი
13. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვა

14. მუნიციპალური კალენდარი

15. დასუფთავება და ნარჩენების მართვა

16. აქტივების მართვა

17. სივრცითი მოწყობის მართვის სისტემა სარეკრეაციო ტერიტორიები

18. მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვა.

ელექტრონული სისტემა უნიკალურია, რომელიც იძლევა ისეთ შესაძლებლობებს, როგორიცაა ერთი ფანჯრის პრინციპით მუნიციპალური ელექტრონული სერვისების მიღება, როგორც დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად, ისე ადგილზე, ელექტრონულად. ასევე, პლატფორმამ შექმნა სხვადასხვა სახელმწიფო სერვისთან ინტერაქციის შესაძლებლობასაც, რაც მოქალაქისთვის/ბიზნესისთვის ზრდის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას.

დღეისათვის მიმდინარეობს დანერგილი ელექტრონული სერვისების მონიტორინგი მუშაობის პროცესში ხარვეზების გამოსავლენად და პარალელურ რეჟიმში ხდება მათი აღმოფხვრა.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
63 მუნიციპალიტეტში დანერგილია ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 3.1.2. ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფა

აქტივობის შესრულებისთვის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით განისაზღვრა შემდეგი ინდიკატორები:

1. გაანალიზებულია მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) 64 მუნიციპალიტეტში *(განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).*

2. დანერგილია მექანიზმები მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით 64 მუნიციპალიტეტში. *(განხორციელების ვადა - 2022 - 2023 წლები).*

3. განახლებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია *(განხორციელების ვადა - 2022 წელი).*

4. მომზადებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცნობარი (გზამკვლევი) *(განხორციელების ვადა - 2022 წელი).*

1. მუნიციპალურ დონეზე ამ ეტაპზე ჩატარებულია სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი 56 მუნიციპალიტეტში.

2. სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და 39 მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი, ხოლო 2022 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის N2735 განკარგულებაში განხორციელდა ცვლილება დამატებით 23 მუნიციპალიტეტთან მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგია.

4. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტების დახმარება. მათ შორის 2022 წელს 3 მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი, ხაშური, თერჯოლა) მომზადდა ბიუჯეტის ცნობარი (გზამკვლევი).

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. დანერგილია მექანიზმები მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით 64 მუნიციპალიტეტში	მიღწეულია (100%)
2. დანერგილია მექანიზმები მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით 64 მუნიციპალიტეტში	მიღწეულია (100%)
3. განახლებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია	მიღწეულია (100%)
4. მომზადებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცნობარი (გზამკვლევი)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 3.1.3. ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროცედურების დახვეწა და ადამიანური რესურსების შესაძლებლობათა განვითარება

აქტივობის შესასრულებლად 2022-2023 წლისთვის ინდიკატორებად განისაზღვრა:

1. განახლებულია პროფესიული განვითარების საჭიროების ანალიზისა და პროფესიული განვითარების გეგმის შედგენის მეთოდოლოგია. *(განხორციელების ვადა 2022 წელი).*

2. დანერგილია თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა მეთოდები *(განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).*

3. არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში დანერგილია ტრენინგ(ებ)ის მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი შესყიდვის პრაქტიკა *(განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).*

4. მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებულია არანაკლებ 30 სასწავლო აქტივობა (გადამზადებულია არანაკლებ 3000 საჯარო მოხელე) *(განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).*

პირველი ინდიკატორის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროცედურების დახვეწის და ზოგადად, ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, შემუშავებულია პროფესიული განვითარების საჭიროების ანალიზისა და პროფესიული განვითარების გეგმების შედგენის განახლებული მეთოდოლოგია.

პროფესიული განვითარების საჭიროებების მოკვლევის, შეფასებისა და ანალიზის ერთიანი პრაქტიკის დამკვირდებისა და გეგმების შედგენის ეფექტიანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებისათვის შემუშავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პროფესიული განვითარების კონცეფცია. კონცეფცია შეიქმნა UNDP-ის პროექტის „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ მხარდაჭერით. კონცეფცია ეყრდნობა ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკას, ჩატარებულ სიტუაციის ანალიზსა და ჩართული მხარეების დამოკიდებულებების კვლევას. თანამედროვე პრაქტიკაზე დაფუძნებული კონცეფცია მიზნად ისახავს გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტებში არსებული პროფესიული განვითარების სისტემა და პრაქტიკები, წაახალისოს პროფესიული განვითარების ციკლის ყველა ეტაპზე თანამედროვე მიდგომების გამოყენება, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებას. კონცეფციის ამოცანებს წარმოადგენს: 1. პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული კულტურის გაძლიერება. 2. პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში სტრატეგიული ხედვის გაძლიერება. 3. მაღალი სტანდარტის შემოტანა მეთოდოლოგიის, შესაბამისი HR ანალიტიკის და IT პლატფორმების მიმართულებით. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევის, განმავითარებელი აქტივობების დიზაინისა და ტრენინგ გეგმის კომპონენტები. შექმნილია სამუშაო ჯგუფი ადგილობრივი ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფი აგროვებს და აანალიზებს

მნიშვნელოვან ინფორმაციას პროფესიული განვითარების კონცეფციის, პროფესიული განვითარების საჭიროების ანალიზისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში მუნიციპალიტეტების სპეციფიკის მაქსიმალური ასახვისა და ადგილობრივ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამუშაო ჯგუფთან შეხვედრებისა და განხილვების დასრულების შემდგომ, დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე.

სწორედ აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე შემუშავდა განახლებული პროფესიული განვითარების საჭიროების ანალიზისა და გეგმის შედგენის მეთოდოლოგია.

მეორე ინდიკატორის მისაღწევად გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK Aid-ის მხარდაჭერით, საჯარო სამსახურის ბიურომ მოამზადა მენტორის სახელმძღვანელო. პრაქტიკული სახელმძღვანელო აღწერს მენტორული ურთიერთობის პროცესს, დაწყებიდან დასრულებამდე და წარმოგვიდგენს ეფექტიანი მენტორული ურთიერთობისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტს. საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურ პოპულარიზაციას უწევს პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას საჯარო სამსახურების მიერ და სწორედ ამ მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნას აღნიშნული სახელმძღვანელო ორგანიზაციაში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მენტორინგის სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა მეთოდების წახალისების მიზნით, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ახორციელებს თემატური მენტორინგის პროექტს თვითმმართველობის ორგანოებში, რომლის მიზანია ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირების გაძლიერება შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემების დანერგვის პროცესში. აღნიშნული პროექტები განხორციელდა საქართველოს ექვსი რეგიონის მუნიციპალიტეტის ორგანოებში (საკრებულო, მერია). 2023 წლისათვის, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დაგეგმილია დამატებით კიდევ სამი რეგიონის დაფარვა. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდება პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების სახელმძღვანელო დოკუმენტი.

მესამე ინდიკატორის მისაღწევად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის - „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ - მხარდაჭერით იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ტრენინგები მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი შესყიდვის პრაქტიკის დანერგვასთან დაკავშირებით. ტრენინგების გავლის შემდეგ სამივე რეგიონის 22 მუნიციპალიტეტში განხორციელდა, შეთავაზებული პრაქტიკის მიხედვით, სასწავლო კომპონენტების ინტერმუნიციპალური გზით შესყიდვა.

მეოთხე ინდიკატორის შესასრულებლად UNDP - EU4ITD პროექტის ფარგლებში, ჩატარდა მუნიციპალური პროექტების მართვის ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა იმერეთის რეგიონის 12 მუნიციპალიტეტის 35 მოხელე და კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის 19 მოხელე.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის ორგანიზებით, 2022 წელს პროფესიული განვითარების ტრენინგი გაიარა 2011 მოხელემ. საერთო ჯამში, ჩატარდა 91 ტრენინგი 11 სხვადასხვა დასახელების მოდულში - პროგრამული ბიუჯეტი, საბიუჯეტო პროცესი და კანონმდებლობა, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, ქონების მართვა, ახალი ბუღალტრული სტანდარტები (IPSAS), სკოლამდელი აღზრდა, სახელმწიფო შესყიდვები, სივრცითი დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა, შიდა აუდიტი, ქონების მართვის პროგრამა - Eproperty.ge.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით, 2022 წელს მუნიციპალიტეტების 1031 მოხელემ პროფესიული განვითარების ტრენინგი გაიარა შემდეგ სფეროებში:

- გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი;
- ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა მონაცემებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება;
- გენდერული ბიუჯეტირება;
- გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავება;
- გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხების სამართლებრივი ჩარჩოსა და პრინციპების გაცნობა;
- ადგილობრივ დონეზე ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებული პროგრამირება.

2022 წელს, ჯამში გადამზადდა 3096 მოხელე.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
1. განახლებულია პროფესიული განვითარების საჭიროების ანალიზისა და პროფესიული განვითარების გეგმის შედგენის მეთოდოლოგია	მიღწეულია (100%)
2. დანერგილია თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა მეთოდები	მიღწეულია (100%)
3. არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში დანერგილია ტრენინგ(ებ)ის მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი შესყიდვის პრაქტიკა	მიღწეულია (100%)
4. მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებულია არანაკლებ 30 სასწავლო აქტივობა (გადამზადებულია არანაკლებ 3000 საჯარო მოხელე)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 3.1.4. მუნიციპალური მომსახურებების მიწოდების ერთიანი (მინიმალური) სტანდარტების დადგენა და მუნიციპალური სერვისების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა

აქტივობა მოიცავს 3 ინდიკატორს:

1. მუნიციპალური მომსახურებების მიწოდების პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე მომზადებულია თვითმმართველი ერთეულის მიერ საჯარო მომსახურების განხორციელების მინიმალური სტანდარტი (არანაკლებ 2 საჯარო მომსახურებაზე) (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

2. დანერგილია მომსახურებათა ეფექტიანობის შეფასების სისტემა არანაკლებ ერთ სერვისთან მიმართებაში (განხორციელების ვადა - 2022 წელი).

3. მუნიციპალურ სერვისებში გამოვლენილია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და მათი გაზიარების მიზნით ჩატარებულია ეროვნული კონფერენცია. *(განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).*

პირველი ინდიკატორის მისაღწევად მიმდინარეობს იმ მუნიციპალური სერვისების იდენტიფიცირება, რომლებზეც დაიწყება შესაბამისი მუშაობა სტანდარტების შემუშავების მიმართულებით.

მეორე ინდიკატორის შესასრულებლად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, შემუშავდა სამუშაოების მართვის სისტემა (Performance Management System) ორი მუნიციპალური სერვისისთვის: ნარჩენების მართვა და საჯარო სივრცეების დასუფთავება. სისტემა ინტეგრირებულია მუნიციპალური სერვისების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რომელიც დანერგილია MSDA-ს მიერ. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით 27 მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს გადაეცათ კომპიუტერები და პრინტერები და ჩაუტარდათ ტრენინგი, რათა გაუწიონ დახმარება მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით სარგებლობაში.

მესამე ინდიკატორის მისაღწევად 2022 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით ჩატარდა საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (Best Practice Program) მეხუთე ეროვნული კონფერენცია და გამარჯვებული მუნიციპალიტეტების დაჯილდოების ცერემონია. 2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსი, ათეას მიერ განხორციელებულ პროექტებთან „მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) და „დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში (EU4ITD)“ თანამშრომლობით ჩატარდა, რომლის ფინანსურ მხარდაჭერასაც გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებს. კონფერენციას დაესწრნენ საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე საქართველოში ევროკავშირის წამომადგნელობის, გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და მუნიციპალიტეტების პირველი პირები.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
მუნიციპალური მომსახურებების მიწოდების პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე მომზადებულია თვითმმართველი ერთეულის მიერ საჯარო მომსახურების განხორციელების მინიმალური სტანდარტი (არანაკლებ 2 საჯარო მომსახურებაზე)	ნაწილობრივ მიღწეულია (1-50%)
დანერგილია მომსახურებათა ეფექტიანობის შეფასების სისტემა არანაკლებ ერთ სერვისთან მიმართებაში	მიღწეულია (100%)
მუნიციპალურ სერვისებში გამოვლენილია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და მათი გაზიარების მიზნით ჩატარებულია ეროვნული კონფერენცია	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - მეტწილად შესრულდა.

აქტივობა 3.1.6 ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად მუნიციპალიტეტების მიხედვით სანდო სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმების განვითარება

2022 წელს ამ აქტივობის შესასრულებლად სამოქმედო გეგმის ინდიკატორია მუნიციპალური სტატისტიკის პორტალის შექმნა. *(განხორციელების ვადა - 2022 წელი).*

ინდიკატორის მისაღწევად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, დაკომპლექტდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და შეიქმნა მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი საქსტატის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე, რომელიც აერთიანებს ხელმისაწვდომ 80მდე მაჩვენებელს. პორტალი იძლევა შესაძლებლობას, შედარდეს ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების და მუნიციპალიტეტების დონეზე.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
შექმნილია მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 3.1.7. საჯარო-კერძო თანამშრომლობის და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

2022 წელს ამ აქტივობის შესრულების ინდიკატორია: საჯარო-კერძო თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად მომზადებული რეკომენდაციების შესაბამისად ადგილობრივ დონეზე სფეროების განსაზღვრა პოტენციური PPP პროექტებისათვის და კერძო სექტორთან წინასწარი კონსულტაციების ჩატარება.

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (GGI) მხარდაჭერით შეიქმნა ადგილობრივ დონეზე საჯარო-კერძო თანამშრომლობისთვის მზაობის შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია ეფუძნება მსოფლიო ბანკის მიერ მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავებულ კითხვარს. საანგარიშო პერიოდში შეფასდა თბილისის, ბათუმისა და თელავის მუნიციპალიტეტების მზაობა საჯარო-კერძო თანამშრომლობისთვის, აგრეთვე გამოვლინდა თანამშრომლობის სფეროები მუნიციპალიტეტების საჭიროებების გათვალისწინებით და ჩატარდა ტრენინგები. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საჯარო-კერძო თანშრომლობის საერთაშორისო გამოცდილება, PPP კონცეფცია, უპირატესობები და შესაძლო სირთულეები, თანამშრომლობის სახეები და სფეროები, ხელშემწყობი გარემო და ძირითადი აქტორები, თანამშრომლობის პროცესი და PPP მოდელები ტრანსპორტის, წყალმომარაგების, ნარჩენების მართვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების, საზოგადოებრივი პარკინგის, სპორტისა და კულტურის, ტურიზმის, სკოლამდელი განათლებისა და სხვა სფეროებში.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
საჯარო-კერძო თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად მომზადებული რეკომენდაციების შესაბამისად განსაზღვრულია სფეროები ადგილობრივ დონეზე პოტენციური PPP პროექტებისათვის და ჩატარებულია კერძო სექტორთან წინასწარი კონსულტაციები.	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 3.2.1. ღია მმართველობის პროგრამის ხელშეწყობა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

ამ აქტივობის ინდიკატორია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ღია მმართველობის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება და შესაბამისი ანგარიშგება სამოქალაქო სექტორსა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (არანაკლებ 15 მუნიციპალიტეტში).

ამ ეტაპზე ღია მმართველობა პარტნიორობის ადგილობრივ პროგრამაში დამატებით ჩართულია 2 (ქუთაისის და რუსთავის) მუნიციპალიტეტი. ღია მმართველობის ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდება 2023-2024 წლებისთვის, სადაც ჩაერთვება დამატებით 5 მუნიციპალიტეტი.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ხორციელდება ღია მმართველობის პროგრამით გათვალისწინებული	ნაწილობრივ

აქტივობები და ხდება შესაბამისი ანგარიშგება სამოქალაქო სექტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (არანაკლებ 15 მუნიციპალიტეტში)	მიღწეულია (1-50%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - ნაწილობრივ შესრულდა.

აქტივობა 3.2.2. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

ამ აქტივობის ინდიკატორია - არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში საკრებულოს სხდომების ტრანსლირების დანერგვა.

ამ ინდიკატორის მისაღწევად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიმდინარეობს მუნიციპალიტეტებისთვის სათანადო კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობების შეძენა საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირებისთვის, რაც საშუალებას მისცემს საკრებულოებს 2023 წლიდან მოახდინონ სხდომების ტრანსლირება.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
შედგენილია და ამოქმედებულია კომუნიკაციის გეგმა, სისტემატურად ხდება დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირი	მეტწილად მიღწეულია (51-99%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - მეტწილად შესრულდა.

აქტივობა 3.3.2. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (განხორციელების ვადა - 2022 -2023 წლები).

აქტივობის ინდიკატორებია:

1. გენდერული საჭიროებების კვლევის საფუძველზე მომზადებულია მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები

2. ჩატარებულია კონფერენცია გენდერულ საკითხებზე

პირველი ინდიკატორის მისაღწევად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მუნიციპალიტეტებში მომზადდა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სტრატეგიები და 2023 წლის სამოქმედო გეგმები.

რაც შეეხება მეორე ინდიკატორის მიღწევას - 2022 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია, რომელიც მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის პროგრესსა და არსებულ გამოწვევებზე მსჯელობას დაეთმო. ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელი და გენდერზე პასუხისმგებელი პირები, ასევე,

საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ (ჯამურად 200-მდე პირი).

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
გენდერული საჭიროებების კვლევის საფუძველზე მომზადებულია მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები	მიღწეულია (100%)
ჩატარებულია კონფერენცია გენდერულ საკითხებზე	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა 3.3.3. ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).

სამოქმედო გეგმით ამ აქტივობის შესრულების ინდიკატორია: გაძლიერებულია ახალგაზრდობის შესაძლებლობები: სამოქალაქო აქტივობის, ადვოკატირების და სხვა მიმართულებებით (არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში).

ამ ინდიკატორის მისაღწევად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამოცხადდა საგრანტო კონკურსი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის მოქალაქეთა ჩართულობის და სოციალური ანგარიშვალდებულების ინიციატივების მხარდასაჭერად. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 8 საგრანტო პროექტი, რომლის განხორციელება დაიწყო 2022 წლის დეკემბრიდან. დაფინანსებული პროექტებიდან სამი უშუალოდ მიმართულია ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობაზე საქართველოს სამი რეგიონის 11 მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლი: რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო; იმერეთი: ხარაგაული; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: ცაგერი, ლენტეხი და ონი).

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების EU4ITD პროგრამის მხარდაჭერით, 7 სტუდენტმა სტაჟირება გაიარა საქართველოს 4 რეგიონში (კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი და გურია). პროექტი განხორციელდა რეგიონებში მცხოვრები და ადგილობრივი თვითმმართველობით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. სტაჟირება მოიცავდა 2022 წლის 29 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე პერიოდს. და ჩაატარეს კვლევა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხორციელდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში;
- საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტები;
- რეგიონული განვითარების ფონდის ინფრასტრუქტურული პროექტები.

სტაჟირების ფარგლებში სტუდენტებმა, ასევე, შეიმუშავეს სარეკომენდაციო პროექტების ნუსხა, მოამზადეს შესაბამისი ანგარიში და პრეზენტაცია.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
გაძლიერებულია ახალგაზრდობის შესაძლებლობები: სამოქალაქო აქტივობის, ადვოკატირების და სხვა მიმართულებებით (არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - განხორციელდა.

აქტივობა: 3.4.1 განვითარების დაგეგმვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და სტანდარტების და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა

აქტივობის შესრულების ინდიკატორებია:

1. ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და მომზადებული რეკომენდაციების შესაბამისად მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად *(განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები).*

2. მუნიციპალიტეტების განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად დამტკიცებულია განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო *(განხორციელების ვადა - 2022 წელი).*

3. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დანერგვისა და მონიტორინგის საკითხებზე (არანაკლებ 18 მუნიციპალიტეტში). *განხორციელების ვადა - 2022-2023 წლები.*

პირველი ინდიკატორის მისაღწევად მომზადებულია პირველადი კანონპროექტი მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სისტემის მხარდასაჭერად. კანონპროექტზე კონსულტაციები გაიმართება 2023 წელს.

მეორე ინდიკატორის შესასრულებლად, გაერთიანებული ერების განვითარების (UNDP) პროგრამების - „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ ხელშეწყობით, მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელო“.

მესამე ინდიკატორის მისაღწევად, მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი - მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ადგილობრივ დონეზე დანერგვა და მონიტორინგი. ტრენინგების ციკლი ჩატარდა 3 ეტაპად. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 18 მუნიციპალიტეტის (ამბროლაური, ბათუმი, ბორჯომი, გორი, დუშეთი, ზუგდიდი, თელავი, კასპი, მცხეთა, ონი, რუსთავი, სიღნაღი, ტყიბული, ქარელი, ქუთაისი, ყაზბეგი, ხაშური, ხონი) 69 წარმომადგენელმა და 3 სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 11 თანამშრომელმა. ტრენინგების ციკლის ფარგლებში სულ გადამზადდა 80 მოხელე.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი

1. ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და მომზადებული რეკომენდაციების შესაბამისად მომზადებული და ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად	მეტწილად მიღწეულია (51-99%)
2. მუნიციპალიტეტების განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად დამტკიცებულია განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო	მიღწეულია (100%)
3. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დანერგვისა და მონიტორინგის საკითხებზე (არანაკლებ 18 მუნიციპალიტეტში)	მიღწეულია (100%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - მეტწილად შესრულდა.

აქტივობა: 3.4.2. პოლიტიკის დაგეგმვის შესაძლებლობათა განვითარება (განხორციელების ვადა 2022 -2023 წლები).

აქტივობის შესრულების ინდიკატორია:

განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები შემუშავებულია ან/და განახლებულია არანაკლებ 25 მუნიციპალიტეტში.

აქტივობის ინდიკატორის მისაღწევად გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მიმდინარეობს განმახორციელებლის შერჩევის პროცედურები. შედეგად, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, 2023 წლის თებერვლიდან დაიწყება მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა/განახლებაში და აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი ტრენინგების ჩატარებაში.

მდგომარეობა სამოქმედო გეგმის ინდიკატორებთან მიმართებით

შესრულების ინდიკატორი	სტატუსი
განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები შემუშავებულია ან/და განახლებულია არანაკლებ 25 მუნიციპალიტეტში	ნაწილობრივ მიღწეულია (1-50%)

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსთვის ამ აქტივობის სტატუსია - ნაწილობრივ შესრულდა.

6. გამოწვევები და რისკები

დეცენტრალიზაციის თანმიმდევრული განხორციელება დიდწილადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ სტაბილურ გარემოსთან. 2020 წლიდან ჯერ COVID-19 პანდემიამ, მისგან გამოწვეულმა შეზღუდვებმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, ხოლო 2022 წელს

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ზოგადად დეცენტრალიზაციის პროცესი. ასეთ პირობებში სახელმწიფოს ძირითადი ძალისხმევა მიმართული იქნა როგორც პანდემიური პროცესით გამოწვეული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და ეკონომიკური კრიზისის დაძლევისაკენ, ასევე, ქვეყნაში მშვიდობის შენარჩუნებაზე. ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული იყო პანდემიური პროცესით გამოწვეული კრიზისის და იძულებით გადაადგილებული პირების მათ მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა საჭიროებით უზრუნველყოფისკენ.

ცალკე გამოწვევას წარმოადგენდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები. არჩევნების ჩატარების შედეგად უმეტესად შეიცვალა მერები და საკრებულოს შემადგენლობა. შესაბამისად, საჭირო გახდა გარკვეული დრო, რათა თვითმმართველობის ორგანოებს დაეწყოთ ჩვეულ რეჟიმში საქმიანობა. აღნიშნულზე გავლენა იქონია, მათ შორის სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ქმედებებმა, რომელიც მიმართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კონკრეტულად კი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის ბოიკოტირებაზე. პოლიტიკურად კონსტრუქციული გარემოს არსებობის გარეშე ძალზედ ძნელია გადაიდგას გაბედული ნაბიჯები რეფორმის გასატარებლად. ამიტომ, ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების მუდმივი მცდელობა სიტუაციის გამწვავებისაკენ რჩება დეცენტრალიზაციის რეფორმის ხელისშემშლელ გარემოებად. ამ ფაქტორზე მიუთითებდა თავად დეცენტრალიზაციის სტრატეგიაც, რომელიც პროცესის შემაფერხებელ ერთ-ერთ გამოწვევად მიიჩნევს „ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მისაღებად მიმდინარე საჯარო განხილვების შეუსაბამო პოლიტიზებას, რამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო სექტორის მოტივაციაზე, ჩაერთონ დიალოგში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან“.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავებაც და მისი განხორციელება მიმდინარეობდა გამჭვირვალე რეჟიმში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების შესახებ პერიოდულად მიეწოდებოდა ანგარიში საერთაშორისო განვითარების პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ სამუშაო ჯგუფებს, ისინი ჩართული იყვნენ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში. თუმცა ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზნების მიღწევაზე კვალიფიციური დიალოგის წარმართვას ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ასევე, ერთ-ერთ გამოწვევად აუცილებლად უნდა დასახელდეს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა საჯარო მმართველობის სუბნაციონალურ დონეებზე. დეცენტრალიზაცია თავისთავად გულისხმობს სახელმწიფო ამოცანათა მნიშვნელოვანი ნაწილის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე გადაცემას, თუმცა, ასევე აუცილებელია, რომ ადგილებზე არსებობდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის საჯარო მოხელეები, რომლებიც ამ ამოცანებს ხარისხიანად და დროულად შეასრულებენ. შესაბამისად, დეცენტრალიზაციის პროცესის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებაა.

7. მიღებული გამოცდილება

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელება მნიშვნელოვანი გამოცდილებაა სახელმწიფო უწყებებისთვის და მათი პარტნიორებისთვის სხვადასხვა აქტივობის განხორციელების დროს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქტიური თანამშრომლობა ჰქონდა საერთაშორისო განვითარების პარტნიორებთან, რაც მოიცავდა როგორც ცალკეული აქტივობების მხარდაჭერას, ასევე დეცენტრალიზაციის სფეროში დონორთა საქმიანობის კოორდინაციას. საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევის კონსოლიდაცია და თანამშრომლობის მაღალი ხარისხის მიღწევა წარმატების უმთავრესი წინაპირობა იყო. დონორებთან თანამშრომლობის 2020-2022 წლების გამოცდილება მნიშვნელოვნად დაეხმარება სამინისტროს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემდეგი ეტაპების წარმატებით განხორციელებაში.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების და მედიის წარმომადგენლების ჩართვამ მნიშვნელოვნად აამაღლა პროცესის გამჭვირვალეობა და უზრუნველყო დეცენტრალიზაციის თემის აქტუალიზაცია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის ეს გამოცდილება მნიშვნელოვანია როგორც დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორცილების, ასევე მთლიანად სამინისტროს მუშაობისთვის.

2020-2022 წლების განმავლობაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საჯარო სამსახურის ბიუროსთან, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და ა. შ. დეცენტრალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობათა შესრულებისთვის სახელმწიფო უწყებათა კოორდინირებული მუშაობა იყო ღირებული გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისიის წარმატებული საქმიანობისთვის. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებული საქმიანობა, სტრატეგიის განხორციელების შემდგომ ეტაპებზე, საჭიროებს უფრო მეტად გაძლიერებას.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2020-2021 და 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობათა განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტები, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ფინანსისტთა ასოციაცია. მუნიციპალიტეტებთან და ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციებთან მიმდინარეობს აქტიური კონსულტაცია სტრატეგიის გახორციელების მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპებზე.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელება მუნიციპალიტეტებთან და მათ ასოციაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით არის მნიშვნელოვანი გამოცდილება, რაც ხელს უწყობს როგორც სახელმწიფო უწყებების ეფექტიანობას, ასევე თვითმმართველობათა ასოციაციების როლის გაზრდას და გაძლიერებას.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებით მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება როგორც შემდგომი წლების აქტივობათა დაგეგმვისათვის, ასევე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შეფასებისა და შემდგომი განახლებისთვის.

8. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

წარმოდგენილი ანგარიში აჩვენებს, რომ დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესი, მიუხედავად გამოწვევებისა, წარმატებით მიმდინარეობს და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობათა დიდი უმრავლესობა განხორციელდა ან მეტწილად შესრულებულია. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საქმიანობა შეფასდა წარმატებულად, ვინაიდან სახეზეა მათი:

ა) ***შესაბამისობა*** საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზნებთან და ამოცანებთან;

ბ) ***ეფექტიანობა,*** რაც ემყარება საერთაშორისო განვითარების პარტნიორების მონაწილეობას სტრატეგიის ამოცანების შესრულებაში და მულტი-სექტორულ თანამშრომლობას;

გ) ***ეფექტურობა,*** რაც გულისხმობს, რომ დაგეგმილი ამოცანების დიდი ნაწილი განხორციელებული ან მეტწილად შესრულებულია. შედეგები კი პირდაპირ შესაბამისობაშია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზნებთან;

დ) ***გავლენა,*** რაც გამოიხატა მთელი რიგი საკანონმდელო ცვლილებების მიღებაში, რომელთაც გაზარდეს მუნიციპალიტეტების როლი ადგილობრივ განვითარებაში, მომსახურებების გაუმჯობესებასა და კარგი მმართველობის დამკვიდრებაში;

ე) **მდგრადობა**, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფო უწყებებს შორის მაღალი კოორდინაციით, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით სტრატეგიის შემუშავების პროცესში და მუნიციპალიტეტების მოტივაციით მეტი სარგებელი შესთავაზონ საკუთარ მოქალაქეებს.

9. ინფორმაცია 2023 წელს დაგეგმილ საქმიანობაზე

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით მომავალი 2023 წლისთვის შემდეგი აქტივობებია დაგეგმილი.

სტრატეგიული მიზანი 1 - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში.

⇒ გაგრძელდება საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება თვითმმართველი ერთეულების საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების მხარდაჭერისთვის;
⇒ სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით მომზადებული და ინიცირებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა გასაზრდელად;
⇒ უფლებამოსილებების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით გაგრძელდება მუნიციპალიტეტებისთვის საჭირო სახელმძღვანელოების, ინსტრუქციებისა და სხვა მეთოდური მასალების მომზადება;
⇒ მიღებული იქნება დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების გაანგარიშების წესი.

სტრატეგიული მიზანი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსით

⇒ გაგრძელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის შესაბამისი სახელმწიფო ქონების გადაცემის პროცესი;
⇒ გაგრძელდება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების მექანიზმების გაუმჯობესება;
⇒ მომზადდება და ინიცირებული იქნება სამართლებრივი აქტის პროექტები მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის აღების/გაცემის პროცედურების გასამარტივებლად;
⇒ გაგრძელდება მუშაობა სახელმწიფო რესურსების განაწილების მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

სტრატეგიული მიზანი 3 - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება

⇒ გაგრძელდება მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების სფეროში დადგენილი ხარვეზების გამოსწორების მექანიზმების დანერგვა;
⇒ გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოები;
⇒ სრულად ამოქმედდება მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი და შეიქმნება მუნიციპალურ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ეფექტიანი სისტემა;
⇒ გაგრძელდება ღია მმართველობის პროგრამის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში;
⇒ ინიცირებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებები მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გასაუმჯობესებლად;
⇒ გაიმართება კონფერენცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე;
⇒ ინიცირებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად;
⇒ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად მოხდება ადგილობრივი განვითარების დოკუმენტების შემუშავება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში.